

SCHOMBURG GmbH & Co.
KG Aquafinstraße 2 – 8 D-
32760 Detmold (Germany)
phone + 49 - 5231- 953- 00
fax + 49 - 5231- 953-108
email export@schomburg.de
www.schomburg.com



ტექნიკური მონაცემები

BETOCRETE®-CP-380-S

Art.-No. 2 06454

კრისტალური ბეტონის დანამატი ძლიერი პლასტიფიცირების ეფექტით

BETOCRETE-CP-380-S არის ფხვნილის ფორმის დანამატი წყალგამძლე ბეტონის მოსამზადებლად ინოვაციური 2-1 ში ტექნოლოგიებით. უპირველესად, ეს ნაწარმი ხელს უწყობს ბეტონის დარბილებას. შემდეგ, წყალთან კონტაქტისას აქტიურდება უწვრილესი ზომის კრისტალური ნაწილაკები ბეტონის კაპილარულ სისტემაში, რაც უზრუნველყოფს მის მუდმივ და გარანტირებულ წყალგაუმტარობას.

- ფხვიერი კონსისტენცია
- ინოვაციური 2-1 ში ტექნოლოგია
- უზრუნველყოფს ბეტონის კაპილარული სისტემის კრისტალიზაციას
- აღადგენს 0.5 მმ-მდე ზზარებს
- შეეფერება თბილ კლიმატს
- აუმჯობესებს ბეტონის გამძლეობას ყინვის მიმართ
- ამცირებს ქლორიდის მოძრაობას
- მინიმუმამდე დაყავს შეკეთების და აღდგენის ხარჯები
- ზოგავს დროს

გამოყენების არეალი:

BETOCRETE-CP-380-S გამოიყენება ყველა სახეობის ბეტონში, რომელშიც საჭიროა წყალგაუმტარობის უზრუნველყოფა. მაგალითად: ელექტრო სადგურების გამაგრებელი კომპლურები, ავზები და კონტეინერები, წყლის შესანახი და საცურაო აუზები, ავტოფარეხები და სადგომები, სამირკვლეები, სენდვიჩ პანელები, წყალგაუმტარი ბეტონი, საკანალიზაციო არხები, კაშხლის წვდომის წერტილები, გვირაბები, ბეტონის მილები და საერთოდ ყველაგან სადაც აუცილებელია წყლისგან დაცვა.

ტექნიკური მონაცემები

ფერი: რუხი
კონსისტენცია: ფხვნილი
მასის სიმჭიდროვე: 0.76გ/სმ³
მოხმარების ტემპერატურა.: +5°C
შენახვის ვადა: სიმშრალეში, 12 თვე ორიგინალ გაუხსნელ ტომარაში. გამოიყენეთ გახსნიდან დაუყოვნებლივ.
შეფუთვა: 17 კგ ტომარა
წყლის დაბინძურების კლასი: 1 (თვით კლასიფიკაცია)

ბეტონის მოთხოვნები:

ცემენტის შემცველობა : CEM I 270 კგ/მ³
CEM II 290 კგ/მ³
CEM III /A 380 კგ/მ³

პუცოლანური ცემენტი

პუცოლანის შემცველობით >20%: 300 კგ/მ³
გრანულირებული წიდა: მაქს.100 კგ/მ³
ქვანახშირის ფერფლი: მაქს 80 გ/მ³

დოზირება ბეტონის ქარხანაში:

BETOCRETE-CP-380-S უნდა ჩაიყაროს აგრეგატში და მოიზილოს წყლის და ცემენტის დამატებამდე მინიმუმ 30წამი. წყლის და ცემენტის დამატების შემდეგ მოზილეთ მინიმუმ 45 წამი რომ გამოყენებისათვის მზად იყოს.

BETOCRETE®-CP-380-S

დოზირება ბეტონის მანქანაში:

BETOCRETE- CP-380 –S ემატება მიქსერში სამშენებლო ობიექტზე. ამ შემთხვევაში ნაწარმის კონსისტენცია არ უნდა იყოს ფხვნილი, არამედ წყალში გახსნილი, თხევადი მასა. Betocrete –CP-360-WP და წყალი შეურიეთ 1:1 ში (მაგ. 5 კგ. მასალას შეურიეთ 5 კგ წყალი). მორევის დრო უნდა იყოს მინიმუმ 5 წუთი. ყურადღება მიაქციეთ რომ სუსპენზიის გახსნისთვის გამოყენებული წყალი არ აღემატება ზემოთ მოცემულ წ/ც შეფარდებას. ყოველ შემთხვევაში, გაითვალისწინეთ წყლის მასა გამოყენებამდე დაგეგმვის პროცესში.

რჩევები:

- BETOCRETE- CP-380-S შეიძლება ბეტონის ზედაპირზე გამოიტანოს სპეციფიური კრისტალები
 - BETOCRETE- CP-380-S გამოყენებამდე ჩატარეთ წინასწარი ცდები შესაბამისი რეგულაციებს მიხედვით
 - მურა ნახშირი შეგიძლიათ გამოიყენოთ შეზღუდული რაოდენობით
 - CEM III/B&C ცემენტების გამოყენება გამორიცხულია
 - ყურადღება მიაქციეთ ბეტონის ბზარების ზომებს.
 - BETOCRETE- CP-380-S გამოყენებით ბეტონი უნდა დამზადდეს შესაბამისი, უახლესი სტანდარტების მიხედვით
 - იშვიათ შემთხვევებში BETOCRETE- CP-380-S მა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ბეტონის პირველად მდგომარეობაზე. ამის გასაკონტროლებლად გამოიყენეთ პროდუქტი RUXOLITH-T5 (VZ).
- გთხოვთ დაიცვათ უსაფრთხოების ნორმები!